



სკოლის გაზეთი

ევროპის დღე „ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 7 მაისს, „ევროპულ სკოლაში“ ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს მოსწავლეების მიერ მოწყობილი გამოფენა. გამოფენაზე ნაჩვენები იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღირსშესანიშნაობები, ტრადიციები, კულტურა და სამზარეულო.

მოწვეულ სტუმრებს შორის გახლდათ ევროპული ქვეყნების ელჩები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი მიხეილ ჯანელიძე. მინისტრმა ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა, ევროპის დღე მიულოცა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პრიორიტეტებსა და ამ პროცესში განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ევროპულ სკოლაში“ ევროპის დღის აღნიშვნა უკვე ტრადიციად არის ქცეული - ევროპის დღე უკვე მერვედ აღვნიშნეთ. როგორც საერთაშორისო სკოლა, ჩვენ ხელს ვუწყობთ მოსწავლეებს, გახდნენ გლობალურად მოაზროვნე, საერთაშორისო მოქალაქეები, გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციებს და გაიზიარონ მათი მრავალფეროვანი კულტურა.



თვითმმართველობის დღე „ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 11 მაისს, „ევროპულ სკოლაში“ ჩატარდა თვითმმართველობის დღე. ერთი დღით, მოსწავლეები მასწავლებლებად იქცნენ. დღე მხიარულად დაიწყო. გაიმართა გასართობი და შემეცნებითი გაკვეთილები, ფლემზობები, საქველმოქმედო აქციები. ბავშვებმა შეიძინეს წიგნები და საჩუქრად გადასცეს ასოციაციას „SOS ბავშვთა სოფელი საქართველო.“

მოსწავლეების ნაწილმა გადაწყვიტა, საკუთარი შესაძლებლობები საკლასო ოთახის გარეთ მოეხიზნა - ბავშვებმა მოირგეს აკადემიური დირექტორის, კოორდინატორების, ფსიქოლოგის, ექიმის, PR მენეჯერის, დამლაგებლისა თუ დაცვის თანამშრომლების როლები. დღის ბოლოს, გამოკითხვის შემდეგ, მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ სკოლის თანამშრომლებს საკმაოდ რთული მოვალეობა და სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ.



TEDx ღონისძიება “ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 22 მაისს “ევროპულმა სკოლამ“ მიექვსედი უმასპინძლა ყოველწლიურ TEDxIBEuropeanSchool კონფერენციას. ეს იყო ლიცენზირებული, დამოუკიდებლად ორგანიზებული ღონისძიება, რომელმაც გაცოცხლა TED-ისთვის დამახასიათებელი უნიკალური გამოცდილება. “ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა წარმოადგინეს თორმეტი მოხსენება, გააჟღერეს ახალი ხედვები და იდეები. მოწვეულმა სპიკერმა, მუსიკოსმა პაპუნა შარიქაძემ აუდიტორიას, საინტერესო მოხსენებასთან ერთად, სასიამოვნო ჯაზური კომპოზიციაც შესთავაზა.

ღონისძიების თემა იყო “იპოვე საკუთარი შეხედულება.“ მოსწავლეებმა, პირად გამოცდილებასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, ფართო საზოგადოებას წარუდგინეს ახალი ხედვები, რომლებიც ორგანულად ერწყმოდა მათ ინტერესებს. სპიკერებმა დამსწრეებს საშუალება მისცეს, სხვადასხვა კუთხით შეეხედათ ისეთი საკითხებისთვის, როგორცაა ფობია, მოდა, მეღვინეობა, ვეგანიზმი, თვით საშინაო დავალებაც კი. ღონისძიება ბევრისთვის შთაგონების წყაროდ და გონების სტიმულაციის საშუალებად გადაიქცა.



დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა „ევროპულ სკოლაში“

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში „ევროპულ სკოლაში“ ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა. მოსწავლეებმა გამოფენაზე წარმოადგინეს საქართველოს დროშა და პირველი რესპუბლიკის სიმბოლოები: დროშა, გერბი, კანონები, ფულის ერთეული - ზონი. გაკვეთილებზე ხაზი გაესვა 26 მაისის მნიშვნელობას. მოსწავლეებმა სკოლის ეზო დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული სიმბოლიკით მოხატეს, კედლებზე კი გააკეთეს წარწერა: 100 Free.

26 მაისს „ევროპულ სკოლაში“ დღე დროშის აწევით დაიწყო. დროშა ბავშვების ხელით გახლდათ შეკერილი. მოსწავლეებს ტანთ თავიანთი დიზაინით შექმნილი მაისურები ემოსათ. დროშის აღმართვისას გაისმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება.“

რობოტიკის ოთახში ჩატარდა დემო-გაკვეთილი, რომელზეც მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ. ბავშვებმა იმუშავეს გუნდურად და ინდივიდუალურად, დაამზადეს ბუკლეტები და დაურიგეს მშობლებსა და მასწავლებლებს. პარალელურად, მოსწავლეები 3D კალმით აწყობდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ამჟამინდელ დროშებს. დღე დასრულდა პროექტის წარდგენით „ევროპული სკოლის“ სააქტო დარბაზში. ირაკლი ხვადაგიანი, ახალგაზრდა მკვლევარი „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიიდან,“ სკოლის მოსწავლეებს არქივში დაცული უნიკალური მასალების შესახებ ესაუბრა.



იუსტიციის მინისტრი სტუმრად „ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 30 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი „ევროპულ სკოლას“ სტუმრად ეწვია. ევროპული ენების პოპულარიზაციის ინიციატივის ფარგლებში, „ევროპული სკოლის“ მე-9-10 კლასის მოსწავლეებმა ფრანგულ და გერმანულენოვან ჯგუფებში იმუშავეს ბულინგის თემაზე. ვიდეო-მასალის განხილვის შემდეგ, მოზარდებმა იმსჯელეს ბულინგის გამომწვევ მიზეზებზე, შესაძლო შედეგებზე და პრევენციის ზომებზე.

ბავშვები გაეცნენ საფრანგეთსა და გერმანიაში განხორციელებულ ღონისძიებებს ბულინგის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

პროექტის დასასრულს იუსტიციის მინისტრმა შეაჯამა შეხვედრა და მოსწავლეებს გააცნო ბულინგის პრევენციის ზომები, რომლებსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. მინისტრმა ისაუბრა ფრანგული და გერმანული ენების შესწავლის მნიშვნელობაზეც, როგორც მაღალხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთ საშუალებაზე.



ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეების ექსკურსია ტანძიაში



2018 წლის 1 ივნისს, ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, თეკლა ბერაძესა და ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორთან, ჯოზეფ ბლეიკთან ერთად ბოლნისში იმყოფებოდნენ. პროფესიონალ გიდებთან ერთად მოსწავლეებმა მოინახულეს ტანძიის ეკლესია. მე-13 საუკუნის ისტორიულმა ძეგლმა და მშვიდმა გარემომ მოსწავლეები და მასწავლებლები აღაფრთოვანა.

ანა დარჩიაშვილი: „დაუჯერებელი და სამახსოვრო დღე იყო.“

ანას გამოცხმაურა თამარ ჭელიძეც: „ბუნება იყო გამორჩეულად ლამაზი...“

ყვავილების ფესტივალი „ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 1 ივნისს, „ევროპული სკოლის“ ეზოში გაიმართა ყვავილების ფესტივალი. ფესტივალის სამზადისში მონაწილეობა მიიღეს ქართული პროგრამისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) მოსწავლეებმა.

სკოლის ეზოს ბავშვების ხელით შექმნილი ნამუშევრები ამშვენებდა. პატარებმა დაგეგმეს საქველმოქმედო აქცია - თავიანთი ხელით მოხატეს ყვავილების ქოთნები და გასაყიდად გამოიტანეს. შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ქველმოქმედებას.

მე-5-6 კლასის მოსწავლეებმა ფესტივალის მონაწილეებს სახეზე ფერადი ყვავილები დაახატეს, დაწნეს გვირილების გვირგვინები და ღონისძიების დასასრულს ჩაატარეს ფლეშ-მობი.

ქართული პროგრამისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) მოსწავლეებმა შთამბეჭდავი მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს.

ყვავილების ფესტივალს „ევროპული სკოლის“ მშობლებიც შემოუერთდნენ.



2018 წლის 6 ივნისს „ევროპულ სკოლაში“ სამი პროგრამის - ქართული პროგრამა, საერთაშორისო ბაკალავრიატი (IB), ამერიკული უმაღლესი სკოლა - კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ჩვენი კურსდამთავრებულები ჩაირიცხნენ საქართველოს, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის: Erasmus University, IE University, Kings College London, Pepperdine University, University of California, Los Angeles.

ჩვენი კურსდამთავრებულები განაგრძობენ მუდმივად განვითარებად და ცვალებად გლობალურ მსოფლიოში აკადემიური წარმატებების მიღწევას. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი შექმნიან საუკეთესო მომავალს, არა მხოლოდ მათთვის - არამედ საქართველოსა და მსოფლიოსთვის.

სკოლის საზოგადოება აღფრთოვანებულია ჩვენი კურსდამთავრებულების ინტელექტითა და მიზნებით. ვუსურვებთ მათ წარმატებებს და დარწმუნებულნი ვართ, რომ თავიანთ ოჯახებსა და მეგობრებს ზედნიერებითა და სიხარულით აავსებენ, რადგან მომავალი სწორედ მათ გულისხმობს და ხელშია!



ჯოზეფ ბლეიკი
ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი

კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიალი „ევროპულ სკოლაში“

2018 წლის 6 ივნისს „ევროპულ სკოლაში“ კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა. ღონისძიება დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობით. ღონისძიება გაიხსნა საქართველოს ჰიმნით, რომელიც შეასრულა „ევროპული სკოლის“ მოსწავლემ, საბავშვო ევროვიზიის კონკურსის პრიზიორმა - თამთა დიასამიძემ. სტუმრებსა და კურსდამთავრებულებს სიტყვით მიესალმნენ „ევროპული სკოლის“ აკადემიური დირექტორი, სოფიო ბაზაძე, საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამების დირექტორი, ქრისტო სტეინი, და ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი, ჯოზეფ ბლეიკი.

გამომსვლელებს შორის გახლდათ ევროპული სკოლის“ 2018 წლის კურსდამთავრებულებიც. ჩვენი საპატიო სტუმრები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტი, მაიკლ ქაუგილი, სიტყვით გამოვიდნენ და ჩვენს კურსდამთავრებულებს გზა დაულოცეს. კურსდამთავრებულებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო მედლები.

დაჯილდოვების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, ჩვენმა კურსდამთავრებულებმა და სტუმრებმა გადანიაცვლეს „ევროპული სკოლის შიდა ეზოში, სადაც გაიმართა კურსდამთავრებულთა კონცერტი.

